თამარ შაიშმელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
tamartamriko830@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.94

ალაზნის სახე - სიმბოლოები ლევან გოთუას თვალთახედვით

ლევან გოთუას შემოქმედებაში მდინარეებს სიმბოლური დატვირთვა აქვს. როგორც ერის ბედზე მოფიქრალი მწერალი, მდინარესაც ამ თვალით უყურებს, მდინარეც ისტორიის განუყრელი ნაწილია, ქვეყნის ბედ-იღბლის მოწამე.

მწერალი არა მხოლოდ ხატოვნად წარმოგვიდგენს ალაზანს, არამედ ეს ერთგვარი კონცეპტუალური ხაზია, რომელიც ლევან გოთუას შემოქმედებას ახალ ელფერს ჰმატებს. ალაზანი „გმირთა ვარამის“ დედამდინარეა, მეორე მხრივ, ალაზანი და ალაზნის ჭალები ლევან გოთუას ნარკვევების ციკლის – „მგზავრული კრიალოსნის“ მთავარი ადგილებია, სადაც მწერალმა 1940 წლის ოქტომბერში ნავით იმოგზაურა მტკვრის შესართავამდე.

„მგზავრული კრიალოსნის“ პირველ თავში – მოგზაურობა „გაუვალ ჭალებში“ თხრობა კახეთის მრავალ ჭირ-ვარამის მომსწრე დედამდინარის ირგვლივ მიმდინარეობს. მწერალი ალაზნის ჭალების სიმშვენიერეს ხატავს, ამავდროულად, ბუნებას საკუთრად, მისეულად მიიჩნევს. განუწყვეტელმა დაპატიმრება-გადასახლების წლების შემდეგ თითქოს ბუნებამ მას სხვა სარკმელი გაუღო, მთელი არსებით აგრძნობინა სამყაროს სუნთქვა და სილამაზე. „ჩემია ყველაფერი - ტყე, მზე, ალაზანი, დრო... ის გამოუცნობი ლტოლვაც, რომელმაც მე აქ მომიყვანა. ბუნება და სიცოცხლის სიყვარული განმაცდევინა“ ([4:19].

ალაზნის ნაპირებზე, საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, იგი გალაღებულია და თავის თავს მეოცე საუკუნის მეოცნებე მოგზაურს უწოდებს, ალაზნის სილამაზეს კი ასე გადმოსცემს: „ამ ტევრებში თვით ალაზანი ჩაწყვეტილ, ჩაბურდულ ვერცხლის ყაითანივით მოჩანს... იყო და არა იყო რა – ჯერ ალაზანი იყო, მან გააჩინა მცენარე, ძუძუ აწოვა, გაალაღა, გაათამამა... ახლა ტყემ შემოსა ალაზანი. მწვანე კაბა ჩააცვა, ჩიხტი-კოპი და კალთა ათასფრად მოუსევადა. თვით მშობელი გულისპირში ლაჟვარდისა და ვერცხლის სამკაულად ჩაიზარნიშა“ [4:5].

კახეთის დედამდინარე ვერცხლისფერია, დასარკული ზედაპირით, ხოლო მოგზაურობა – „ვერცხლის სავალი“. ავტორი მოგზაურობის დასაწყისიდან გვამზადებს, რომ ეს ჩვეულებრივი სავალი კი არ არის, არამედ - „ვერცხლისა“, რადგან ლევან გოთუა და მისი მეგობრები „ლაჟვარდისა და ვერცხლის სამკაულივით“ მბზინავ ნათელ ალაზანს მიუყვებიან... იმ ვერცხლისას, რომელიც წმინდა ლითონადაა მიჩნეული, ამავდროულად ხომ, ვერცხლი მთვარის სიმბოლოცაა. და ეს ვერცხლი გამოულევია აქ, ამ ჭალებში: „ჭალის ჩრდილებს შორის გამოულევ ვერცხლად დიოდა საოცარი ალაზანი“ [2:193]...

მწერალი ალაზანს ვერცხლის ქამარსაც ადარებს: „ალაზანი კახეთის ვერცხლის ქამარია, მისი მადლი და ჯავარი“ [2: 9]. „ვერცხლის ყაითანს“ უკვე „ვერცხლის ქამარი“ ცვლის.

ლევან გოთუასთვის ალაზანი და მისი სივრცე-გარემო ერთი სამყაროა, „სულ ერთი სახეა“ – მდინარეც, ბორანიც, ჭაღარა მებორნეც, ახალგაზრდა მეურმეც, ნიკორა კამეჩებიც, მწიფე ყურძენიც და მისი ნადენი სიტკბოც {2:10]... „ერთი ამათთაგანი და ამ სამყაროს მგრძნობია“ ლევან გოთუაც,... „ჩემია ყველაფერი – ტყე, მზე, ალაზანი, დრო... ის გამოუცნობი

ლტოლვაც, რომელმაც მე აქ მომიყვანა“, – წერს იგი (იქვე, 19). ეს „გამოუცნობი ლტოლვა“ ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა, ყოველი დღე ახალ სიხარულს აზიარებს მას. მწიფე ყურძნის სიტკბომ ახალი საფიქრალი აუშალა. რქაწითელის ახალმოკრეფილი ტკბილი ჟონავდა, ატკბილიანებდა ბორანს და პირდაპირ ალაზანში ჩადიოდა. „დედათა დედას თუ უბრუნდებოდა თავისივე ტკბილშვილნაკადი. მადლი ვენახს – არა მარტო სისხლი დენილა ალაზანში“! [4:10].

მწერლის ხედვით, ალაზანი დედათა დედაა, დიდი დედა, – ვაზის და ვენახის მასაზრდოებელი. ეპითეტ-მეტაფორათა მომარჯვებით, მწერალი კახეთის დიდ მდინარეს ყველგან ქალის სახებას ადარებს. ერთგან „დილის კდემით აღსავსე, მზეთუნახავი ალაზანი თავის სახე-ტანს მორცხვად“ აჩენდა (იქვე,16), მეორეგან – წელაზიდული მთის - „ქალტანას მუქრუხი ჩრდილი ვეება დალალად გადაჰფენია ალაზნის გულ-მკერდს“ (იქვე,29)... ლევან გოთუას აოცებს, რომ მხარდამხარ დგანან და მეზობლობენ „პირველყოფილი უღრანი და ბაღ-ვენახის კეთილმოვლილი ზვარი... ორივე კი ალაზნის ძუძუ-მადლის გამოზრდილია“ [4:14].

ალაზანი ლევან გოთუას კახეთის სათნო დედად ესახება: „ერთობლივ კახეთის სათნო დედა, ყოველი ჩაგრულის ქართველის დედობილია, კახთ ბატონიშვილისა მით უფრო“ [2::637].

საინტერესოა დიდი ემოციითა და ღელვით დაწერილი ეს პასაჟი „გმირთა ვარამიდან“: სტამბოლში გამგზავრების წინ ერეკლე უფლისწულის ცხენდაცხენ გაჭრა ბანაკიდან. ფიქრთან და ბედაურთან ერთად ქროლას „სამი მდინარის შუა“ დარჩენილი ბატონიშვილის გულის ჭიდილი და მძაფრი განცდა სდევს თან.

„აზრი ერთს ეუბნება, ალღო მეორეს, გული მესამეს, რომელს დაუჯეროს? რომელს“?! [2].

პირველად ჯერ იორი შეეგებება, მოჩხრიალე, „განუმეორებელი ალერსით ალერსით სავსე“ [2], წყალს თითებითაც ცნობს...

შემდეგ ალაზანი შემოადგება უნაგირზე, „როგორღაც მშობლიურად, საამოდ... მუხლის თავებზე ეალერსება... ეფერება... ფურირემი თავის ჩვილს რომ გადაუსვამს ხაოიან ენას, არც ცხენი ერიდება... არც მხედარი... ეს ხომ ალაზანია“ [2]... სრულიად კახეთის სათნო დედა, რომელიც ყოველი ჩაგრულის მეოხია.

ცხენის ქროლვას ისევ მოჰყვება ახალი „დავლური წყალში“ და „გულ-მკერდზე ეფინება სევდა და ტალღა“; ეს მტკვარია – „მთელი საქართველოს ჭირისუფალი დედა! მით უფრო ბაგრატოვანთ გვარის შვილისა“! [2: 638].

სამი მდინარის სითბო იგრძნო ერეკლე უფლისწულმა, მათი ბუნების წიაღში გუმანის თვალი და გული გაეხსნა, სევდა-ნაღველი გაიქარვა და ბედისწერას დაჰყვა: „ალღო თუ იორი, გული თუ ალაზანი, აზრი თუ მტკვარი“! [2].

ალაზანი აქ გულია, „ერთობლივ კახეთის სათნო დედა“, „ტკბილზე უტკბილესი“... ალაზნის ქვეყნისა და ალაზან-ხალხის დიდი დედა.

შემთხვევითი როდია მხედრის ზიარება წყალთან, რომელიც ფურირემთან არის შედარებული. ალაზნის სიმბოლურ ველში შემოდის დედა ირემი. ალაზნის, როგორც დედა ირმის სახე-სიმბოლო, სიკეთესთან ასოცირდება, რომელიც, ქართული ზღაპრების მსგავსად, ეხმარება გმირს. წყალი კი ქრისტიანობაში ხომ განწმენდა-განახლების სიმბოლოა.

ლევან გოთუა სხვა ქრისტიანულ სიმბოლოებსაც მიმართავს. თორღვას ციხესთან პირველი დიდი გამარჯვების მოპოვების შემდეგ ალექსანდრე მეორის ლაშქარი ალაზნის პირზე ბრუნდება და ნათლობისთვის ემზადება. ალაზანს უკვე ცისარტყელას თანხლებით ვხედავთ.

„ალექსანდრეს აღფრთოვანებულ თვალში ხალხი, ალაზანი და ცისარტყელა ერთად შეინაკვთა“ {2:24].

ამ განწყობით მეფეს ერთად მომდგარი „ალაზან-ხალხი“ უამრავი და უძლეველი ეჩვენა. „ეს ხალხიც ჩემია და ამ ხალხშია ჩემი ძალა“! [2:26]. სურათი ისეა აღწერილი, რომ ცისარტყელას ამოსვლით თითქოს მეფეს იდუმლად მდინარეც და ზეცაც აძლევს ნიშანს.

საინტერესოა გამარჯვებისა და ნათლისღების ლოცვა-პარაკლისი და გიორგი ბატონიშვილის ნათლობა ალაზანში. მეფემ პერანგისამარა გიორგი გადიებს ხელიდან აართვა და ალაზანში ბავშვით შევიდა. ალექსანდრე და ჩვილი გიორგი ერთად გაინათლებიან მდინარის ტალღებში.

„...ჩვენც ნათელ-იორდანეში განვიბანებით და გავიწმინდებით“![2:25] – ყველას გასაგონად იტყვის ალექსანდრე.

ალაზანი მხოლოდ დედამდინარე კი არ არის, არამედ ალაზან-ხალხის „სანათლიღებო იორდანეა“... მეფესთან ერთად ხალხი და ლაშქარიც შევიდა ალაზანში. „ხალხი და ლაშქარი ერთობლივ დაიძრა და მიაწყდა ალაზანს. მეფეს მიჰყვა“ {2: 26].

„თითქოს მოდიდდა ალაზანი, სული ამოიდგა... ერთიანი გალობა ალაზნის გაღმა-გამოღმა გადგა და ჰაერში შეთამაშებულ მტრედებს აედევნა“ {2: 26].

„იორდანეს“ და „ცისარტყელას“ ბიბლიური „მტრედიც“ შეემატა – მშვიდობის სიმბოლო. ალაზნის ქვეყანას სიძლიერისთვის უწინარესად მშვიდობა სჭირდებოდა. ალექსანდრე მეფეც ხომ მშვიდობის დასამკვიდრებლად ბევრს იღწვის, რომ ყოველი მხრიდან დაგეშილ მტერთა გარემოცვაში მყოფ ქვეყანას განსაცდელი ააშოროს.

მახსენდება ლევან გოთუასებური სიტყვაქმნადობის ნიმუში: „ალაზან-მშვიდობა“, როდესაც ამ სიტყვებით, ალაზნის ჭალებში ზემოხსენებული მოგზაურობისას, მებორნე პაპას მიესალმება {4:12].

ისტორიის ქარტეხილებში მშვიდობა სანატრელი იყო ამ მხარეში. „ტკბილ ალაზნის ქვეყანას“ ოდითგან ბევრი მტერი ჰყავდა, ალაზანს იხსენიებენ: პლინიუსი, სტრაბონი, პტოლომე და სხვანი. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ხომ სულ ხშირად იტვიფრება მისი გატანჯული და ძარღვიანი სახელი. ეს მდიდარი ველი ოდითგანვე იზიდავდა დიდ და პატარა დამპყრობელთ და მოთარეშეთ. იქნებ არცერთ მდინარეში არ დენილა იმდენი სისხლი, როგორც ალაზანში“?! [4:9].

მწერალი ჩამოთვლის იმ დამპყრობლებს, რომელთაც ულაშქრიათ ალაზნის ველი. ესენი არიან: „რომაელები, არაბები, სპარსელები, თურქები, ლეკები, სხვა მარბიელნი, რომელთა სახელიც აღარ დარჩა ისტორიაში. თემურ ლენგიცა და შაჰ-აბასიც კმარა“ [4].

„ეხ, ბევრ წყალსა და ვარამს ჩაუვლია ამ დედის უბესავით თბილ ალაზანში“. – ასკვნის ლევან გოთუა. „დედის უბესავით თბილი“ ალაზანი მრავალი ვაების მომსწრეა... დედას შემთხვევით არ ახსენებს მწერალი. სიტყვას, რომელიც სამშობლოს თანაზიარია. ალაზანიც ლევან გოთუას შემოქმედებაში დედასამშობლოსთანაა გაიგივებული. მის ნაპირებზე იშლება „გმირთა ვარამის“ მძაფრი სიუჟეტი. სწორედ ალაზნის ქვეყანასთან ავლებს პარალელს მწერალი რუსეთში გამგზავრებული პირველი ქართული ელჩიონის დროს, როდესაც ქართველებისა და რუსების ზნე-ჩვეულებებს ადარებს ერთმანეთს.

„მიწა შესანიშნავი და ნაყოფიერი, მაინც – მდინარე ალაზნის ველზე... ყველაფერი მოდის, მაგრამ ყველაზე მეტად ღვინო-წვენი ყურძნისა... ხალხი ძველქრისტიანი, სტუმართმოყვარე და მტერთმებრძოლი. უცხოდ მოცეკვავე, მოსიმღერე-მოსახიობე“ [2:348].

რუსული უდაბნო-ვაკეებისა და უსახური ადგილების ხილვით შეცბუნებულ ქართველებს ულამაზესი და ნაყოფიერი ალაზნის ველი ახსენდებათ.

„აფსუსი არ არის ალაზნის ველი? მისი სახელის ჭირიმე! აკი იმიტომაც არ არის, რომ ყველანი გვეტანებიან“! [2:362] – ამბობს ქართული ელჩიონის წევრი ბაცაცაისძე.

ისეთი სიყვარულით წერს ლევან გოთუა ალაზანზე, თითქოს სულს უდგამს, გვიმშობლიურებს და საფიქრალ-საღერღელს გვიშლის. მომავლის დარდსაც სწორედ მდინარე აღძრავს, გათიშულად წასული – მით უფრო.

„ეჰ, ეს მომავლის დარდი ვის არ აწუხებს გათიშულად წასული მშობლიური მდინარეების პირზე“? [2: 23].

მშობლიური მდინარე ყველაზე ძვირფასია, ცოცხალია, ადამიანის და ქვეყნის ბედის მოზიარეა ისიც. მდინარეც ამთლიანებს და კრავს ქვეყანას და ხალხს, ეხმარება სულის წრთობაში, სიმტკიცესა და სილაღეს აჩვევს. მახსენდება თავისუფლების სიმბოლო მდინარე არაგვი პოემიდან „ბედი ქართლისა“, სოლომონ ლიონიძისა და სოფიოს დიალოგი – როგორ უხდება ამ მდინარეს თავისუფლების წყურვილი და სული!

თავისუფლებასთან ერთად მდინარეს ერთიანობის იდეაც უხდება. ალექსანდრე მეფისთვის სევდიანი ფიქრების ამშლელია ალაზანი: „რამდენმა წყალმა ჩაიარა ქართულ მდინარეებში, რამდენი ამაო ქართული სისხლი ჩაიყოლა, რამდენ დროს, დარდსა და მარცხს უნდა ემოქმედა, რომ ერთ მდინარეში ბანაობის შესაძლებლობა და შეგნება გამოჭედილიყო?! [3:140].

ალაზანი ერის სიხარულ-წუხილს აირეკლავს და ცოცხალივით განიცდის... ხოლო როდესაც ქვეყანაში შინააშლილობა, ურთიერთქიშპობა და ვერაგობაა, ალაზანიც იმღვრევა... დაქსაქსული ქვეყნის ბედი მებადურის ნასროლ ბადეს ჰგავს: „ამ მებადურივით ლანძვავენ ალაზანში, მტკვარში თუ რიონში ჩახეულ საერთო ბედს“ [3:139].

როგორი გულდაწყვეტით კითხულობს მწერალი: „ნუთუ არც მტკვრისა, არც რიონისა და არც ალაზნის ნაპირებზე ერთიან აზრის ყვავილნი აღარ ხარობენ? ჯეჯილი საერთოის აღარ იმკება? ნუთუ ზოგთ – გაერთიანება მხოლოდ გათავისიანებად გამოესმით“?! {2: 100].

მტკვარი, რიონი და ალაზანი საქართველოს სამ მხარეს გამოხატავს – თბილისს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს. მწერალი „გმირთა ვარამში“ ერთიანობის იდეასაც აყენებს, როდესაც ერთად შეიყრებიან ქართული მდინარეები და მხარეები –იორ-ალაზნის, თერგ-არაგვის, მტკვარ-რიონის, ჭოროხ-ენგურის... ზოსიმე ბერდიდს სწორედ ქართული მდინარეებისკენ მიუწევს გული, ვოლგის წყალს რომ შესვამს: „ჰოი, სწყუროდა, რარიგ სწყუროდა საერთო წყალი“ [2: 365].

მწერალი პირველად იორ-ალაზანს ახსენებს, სამ დიდ იმპერიას – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიას შორის მოქცეულ კახეთს, როგორც „მაშინდელ საქართველოთა შორის ყველაზე მძლეს“ [2:35], გონივრული ნაბიჯები უნდა გადაედგა ამ ავბედითი ხლართისგან თავის დასაღწევად და ეტვირთა „სრულიად ქართველთა ჯვარი“ [2:34]. ალაზნის ნაპირებზე კი „ერთიან აზრის ყვავილნი“ გაიხარებდნენ...

და მაინც, დაქსაქსული საქართველოს დედა – ტფილისია, მტკვარი კი ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე. მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ მტკვარი იგივე „დიდი ალაზანია“, და სწორედაც რომ ქვეყნის გადარჩენის დიდი მისია ალაზან-ქვეყნის მოთავეობით წყდებოდა.

„...ალაზანი კი უფრო ღვიძლთან ახლო დიოდა, მაგრამ მტკვარი უფრო ტანსრული და როგორღაც უფრო მნიშვნელოვანი იყო. გუმანში მას „დიდი ალაზანი“ შეარქვა და უმალ იგი „ღვიძლთან“ დაიდინა“ {3:63].

ზაზა კახნიაურისთვის ალაზანი მხოლოდ ღვიძლი და ძალიან მშობლიური მდინარე კი არ არის, უფრო მეტიც – წმინდა მდინარეა. სიყვარულში გაორებული ზაზა, თავს გრძნობს რა ცოდვილად, მონანიებას სწორედ ალაზნის პირას იწყებს და ალაზანში ბანაობს განსაწმენდად.

დილაადრიან ალაზანზე ჩავიდა, „ტანი დაიბანა, „თითქოს ახალნათლობა მიიღო, თავისი საყვარელი ალაზნის ფხით მოიჯავშნა“... [3: 240].

როგორი სიყვარულით წერს ლევან გოთუა მრავალნაიარევ კახეთსა და კახ-ქართველებზე, გმირ ალაზნისპირელებზე, ალაზნის გულანზე, „ცისარტყელების ქვეყანაზე“... მახსენდება თამარ გოგიაშვილის მიერ თელავიდან გაგზავნილი და 1960 წლის 3 მარტით დათარიღებული პირადი წერილი, რომლის ადრესატიც ლევან გოთუას მთამსვლელობის მეგობარი, ლეგენდარული მთამსვლელი ქალი, ალექსანდრა ჯაფარიძეა. აი, რას წერს ლევან გოთუაზე წერილის ავტორი:

„ვფიქრობ, სად გაიზარდა, ვინ შთააგონა ბედდავსილი კახელების უზომო სიყვარული. მეც, როგორც ერთი კახელთაგანი, დავალებული ვარ. მერედა როგორი სიყვარულით“ [1].

„გმირთა ვარამში“ თუ „ბედდავსილი“ კახეთის ფორიაქია გადმოცემული, ნარკვევში „გაუვალ ჭალებში“ წარსულის დიდ ტკივილთან ერთად ალაზნის მხარის ახალი ცხოვრებაც არის აღწერილი.

„ცისარტყელების ქვეყანა“, „მგზავრული კრიალოსნის“ მიხედვით, ბარაქით სავსე ალაზნის ველია, „ბაღ-ვენახის კეთილმოვლილი ზვარია“, რომელიც „ალაზნის ძუძუ-მადლმა“ გამოზარდა.

„...ცისარტყელების ქვეყანა განა მარტოკა მთაშია!

იხარე, ალაზნის ველო, ჩავარდი ბარაქაშია“ [4:10].

ნარკვევში „გაუვალ ჭალებში“ ლევან გოთუა, როგორც მოგზაური, მძაფრი შთაბეჭდილებებით, ძველისა და ახლის შეპირისპირებით, ხატავს ალაზანზე მოგზაურობის სურათებს, წარმოაჩენს იმ ხალხს, რომელიც ალაზნის მადლს არის ნაზიარები.

„ალაზნის მადლითა ვარ... მისი ჭირიმე“! – ამბობს კმაყოფილი მეთევზე {4:19] და წყალს ეფერება, „თითქოს ალაზანსა და მის სამყაროს შეეგულისხმაო“ [4].

ახალგაზრდა მეურმე კი, რომელმაც „წყალმშვიდობა“ უსურვა მოგზაურებს, უმღერის სავსე ბეღლებსა და ქვევრებს, საწნახლებს, ხვავიან რთველს... „ბედმოსულ ალაზნის ველსა და იმ ხალხს, რომელმაც ამ ველსაც ნათელი მოჰფინა“ [4:10]. ეს უკვე სევდიანი ურმული კი აღარ იყო, არამედ ახალი ხანის ადამიანის „სიხარულით აცრილი სიმღერა“ [4].

ახალ ხანაში ახალ ფურცლებს სახნისით წერენ ტრაქტორებიც, ტრაქტორს გვერდში ამოუდგა მსგავსი და მახლობელი წინაპარი და უმცროსი ძმა – კამეჩი. ალაზანს თავისი „ნიკორა დრედნოუტი“ ჰყავსო, – წერს ლევან გოთუა [4: 17].

ალაზნის ჭალებში, საქართველოს ისტორიის მემატიანე დედამდინარის სანახებში, მის შეუბღალავ ტალღებთან, შეიგრძნობა წარსულისა და აწმყოს ერთიანობა. მრავალი ვაების მომსწრეა ალაზანში ჩაჩეხილ-გადამსკდარი მუხა, რომელსაც ერთი მძლავრი ტოტი ჯერ არ გახმობია. ფოთლები ყრუდ შრიალებენ, ცახცახებენ და მათ შრიალში ძველინგილოური ნანინა ისმის... ეს ტოტი ძველი ჰერეთის სიმბოლოა, რომელიც ულმობლად მოწყვიტეს საქართველოს.

აქ ნასოფლარიც წარსულის ჭრილობად დარჩენილა.

„რად არის, რად – რომ ნასოფლარზე უფრო ხშირად ეკალი, ანწლი ან ჭინჭარი ამოდის? ნუთუ იმიტომ, რომ ადამიანის სისხლით არის გაპოხილი“? [4: 23].

ალაზნის ტალღების სვლას წარმავლობის სევდაც ახლავს – წარსულმა ფერი იცვალა, მარადისობასა და ბუნების წიაღში დაივანა.

მწერალი მოგვითხრობს თქმულებას ქურმუხის საყდარზე: დიდ შავ ქვაში იდუმალი მღვიმეა, რომელშიც ოქროს მამალი ზის. მისი ყივილი გათენების ნიშანია. ლეკთა თარეშისგან გადარჩენის ნიშანიც. „ამ ყივილს სოფლის მამლები აიტაცებენ და გარიჟრაჟს ახარებენ გატანჯულ მხარეს. ამ ყივილს ასეულ წლობით, ყოველღმ ელოდა ინგილო. წარსული გადავიდა, მარადისობამ და ბუნების მადლიანმა კალთამ დაცემულ გმირთა და პალატთა ნაშთები თავის მწვანე წიაღში შეისავანა“ [4].

ალაზანს მტერ-მოყვარეც უმსხვერპლია განურჩევლად, მაგრამ მაინც შეუბღალავი დარჩენილა. თოფით მოკლულ ძერას მდინარე წაიღებს, ალაზანი კი დის „ისევე შეუბღალავი, დასარკული, ბევრის მნახველ-ამტანი“... „ეჰ, ბევრი მოყვარეც, მაგრამ უფრო მეტი მტაცებელიც ასე წაუღია ალაზანს“, – ასკვნის მწერალი [4: 31].

ალაზნის ჭალები, ლევან გოთუას თვალთახედვით, იმდენად იდუმალი და მშვენიერია, სტრიქონებს მინდიას ლანდიც სდევს ქვეშეცნეულად... „აქ ალაზნის ჭალების ენის გასარკვევად მინდიაა საჭირო, გველისმჭამელი“! [4:12].

„– ეჰეჰეი, ალაზნის ჭალებში ვართ, – გესმის, ქალაქო! მინდიას გზა აქ იწყება“! [4: 19].

მართლაც, ალაზნის ულამაზეს სანახებში მწერალის კვალდაკვალ მოგზაურობისას მკითხველიც გრძნობს უხილავი მინდიას ნაბიჯებს... ნარკვევში „ალაზნის ჭალებში“ მინდიამ ადამიანსა და ალაზანს შორის წაშალა სამანი... ამიტომაც აღნიშნავს მწერალი დასასრულს – და იყო ეს მოგზაურობა ერთი პეშვი უკვდავებისა. მდინარე ყველას უწილადებს წყალში გახსნილ ჯადოსნურ თილისმას – „მის საოცარ სამყაროს – ჭალებს, ბადალუპოვარ ბაღ-ვენახებს: წარბგაშლილ და ხერხემალმაგარ ხალხს, ძველ ციხე-ბურჯებს თუ ახალ სიმღერას“ [4:41].

ალაზანი კახეთის მფარველია, ძუძუმტეა, სულის სალბუნია, იარების მომშუშებელი და აღმადგენელიც... ამიტომაც ლევან გოთუა მოუწოდებს ყველას, წავიდნენ ალაზანზე... „მაჭრიან მდინარეში ტანი იბანეთ, პეშვით შესვით... აბჯრად ჩაიცვით ალაზანი!.. წადით – ეზიარეთ!“ [5: 42].

ამრიგად, ლევან გოთუას თვალთახედვით, „ლაჟვარდისა და ვერცხლის სამკაულივით“ მბზინავი ალაზანი ნათელია. „ნათელი კი უსაზღვროებას შეგვაგრძნობინებს“ [5:151]. იგი სიწმინდე და სიკეთეა. ამასთან, ვერცხლი მთვარის სიმბოლოდაა მიჩნეული, მთვარის შუქი კი იმედია. „ვერცხლად დიოდა“ იმედიანი ალაზანი – შეუბღალავი და დასარკული.

ალაზანი საქართველოს ისტორიის ერთი დიდი და უმნიშვნელოვანესი მდინარეა, გულივით მგრძნობიარე და მფეთქავი. ის კახეთის სათნო დედაა, ყველა ჩაგრულის მფარველი. ალაზნის, როგორც დედა ირმის სახე-სიმბოლო, ბევრის მეტყველია – ირემს ოდითგან ღმერთებისა და გმირების მეგობრად წარმოსახავდნენ, ის საღვთო ნიშანს ატარებდა და ბაგრატიონთა გვარის მფარველად მიიჩნეოდა.

ალაზანი კახეთის ძუძუმტე და მფარველია, ამასთან, დიდი დედაა, – ვაზისა და ვენახის მასაზრდოებელი, ცისარტყელების ქვეყანა, ლხინისა და ბარაქიანობის სიმბოლო...

ალაზანი, იორდანეს მსგავსად, საკრალური მდინარეა. წყალი სიწმინდის, განახლების სიმბოლოა და თავისებური მეხსიერებაც აქვს, მის ტალღებთან ზიარებით სულის ახალი ხანა, განახლება უნდა მოხდეს. ლევან გოთუას უნდა თქვას, რომ ბუნებაში წყალთან ზიარებით ადამიანიც იცვლება, ალაზნის „წყალში გახსნილი თილისმით“ განიწმინდება.

ბიბლიოგრაფია:

1.გოგიაშვილი თ. (1960): „თამარ გოგიაშვილის წერილი თელავიდან ალექსანდრა ჯაფარიძეს“. ივ. ჯაფარიძის პირადი არქივი.

2.გოთუა ლ. (1965): „გმირთა ვარამი“. წიგნი I და II . „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

3.გოთუა ლ. (2013): „გმირთა ვარამი“, ტეტრალოგია, ტომი 3. „პალიტრა L“. თბილისი.

4.გოთუა ლ. (1960): „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“. თბილისი.

5.სირაძე რ. (1982): „სახისმეტყველება“. „ნაკადული“. თბილისი.

Tamar Shaishmelashvili

Georgian Technical University

Image-symbols of Alazani from the point of view of Levan Gotua

Abstract

Rivers have a symbolic meaning in the work of Levan Gotua. As a writer thinking about the fate of the nation, he looks at the river with this eye, the river is an integral part of history, a witness to the fate of the country.

The writer presents Alazani not only figuratively, but also is a kind of conceptual line that adds a new color to the work of Levan Gotua.

Alazani is the mother river of the „Gmirta Varami“, on the other hand, Alazani and the Alazani floodplains are the main places in Levan Gotua's series of essays – „Mgzavruli Krialosani“, where the writer traveled by boat in October 1940 to the confluence of the Mtkvari.

Levan Gotua, like his heroes, is the son of the "sweet country of Alazani", which has many enemies.

It is on its shore that the pain of unity and the future of the nation is expressed.

According to Levan Gotua's point of view, Alazani has different images - symbols, which are discussed in detail in the work.

From the point of view of the writer, Alazani is a sacred river, like Jordan. In addition to the fact that water is a symbol of purity and renewal, it also has a special memory, a new age of the soul, renewal should be done with the "talisman opened in water" of Alazani